№ 236 შაბათი, 24 ოქტომბერი 1909 წ. № 236

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. ტელეგრამებს და მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სტილი ესწორება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА»

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

## „დროების" კანტორისაგან.

წლიურ ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არა აქვს ფული შემოტანილი, გაზეთი აღარ გაეგზავნებათ. ● ყოველ თვის პირველ რიცხვიდან გაზეთი აღარ ეგზავნება ვისაც დამდეგ თვის ხვედრი ფული შემოტანილი არა აქვს. ● ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა. ● გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე საჭიროა ხელის მომწერმა კანტორას აცნობოს, რომ მომავლისთვის ყურადღება მიექცეს.

ალექსი ანტონის ძე და სოფიო გიორგის ასული ყაზახიშვილები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

## გიორგი (გოგლო) ყაზახაშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება კვირას, 25 ოქტომბერს, წმ. ნინოს სასაფლაოზე, ყოვლად წმიდის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე და წირვის შემდეგ განსვენებულის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი. (2—უ.—1)

წარმოდგენა № 10. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 10.

**კვირას, 25 ოქტომბერს, 1909 წელს.**

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის და სვ. სვიმონიძის მონაწილეობით.**

## ორი ჯიბგირი

მელოდრამა 5 მოქმედებად და 6 სურ. თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. ჯადუევანოვი, გრიმაშვილი, ნ. გვარამე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამმელი, კ. მესხი, გ. მატარაძე, შ. საფაროვი, მურვანიშვილი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „ქოჩრიანი ტოროლა", „იმედის დაღუპვა", „უკვდავი ზღაპარი".

მორიგი რეჟისორი **ვ. აბაშიძე.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**შაბათს, 24 ოქტომბერს, 1909 წ.**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან წარმოდგენილი იქნება:

## ტარტიუფი

კომ. 5 მოქმედებად მოლიერისა, თარგ. ვ. მაჭავარიანისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება კვირა საღამოს, 1 ნოემბერს. მზადდება წარმოსადგენად; „ღალატი" სუმბათაშვილისა, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", ა. ცაგარლისა და სხვ.

დაბეჯითებითა ვთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნურავინ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

(3—2) რეჟისორი **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

## ქართული თეატრი

შაბათს, 24 ოქტომბერს, 1909 წ. გაიმართება საჯარო ლექცია ქართულად

## გრიგოლ რობაქიძისა

ამ თემაზე:

## სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა

ლექციის დაწყების წინ **ბ. ივ. გომართელი** წაიკითხავს ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფია-დახასიათებას, ხოლო თავ. **ნიკოლოზ ერისთავი** წარმოსთქვამს პოეტის რამდენსამე ლექს.

დაწვრილებით პროგრამებში. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

**დასაწყისი საღამოს 8 საათს.** (5—5)

ქართული წარ- **ავლაბრის თეატრი** მოდგენა № 5.

**შაბათს, 24 ოქტომბერს, 1909 წ.**

ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

## მელანიას თინები

კომედია 4 მოქმ. გად. კ. მესხისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რჩეულოვი, მარგველაშვილი, კავთელი; ბ-ნნი სალაყაია, ჯიბლაძე, ქიზიყელი, გელიკურაშვილი, გომელაური, ბალაშვილი, ფირუმიანი, მესხიძე, მაისურაძე, მირველოვი, რევაზოვი, გოჩიტაშვილი და სხვ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ✦ ადგილების ფასები 10 კ.—დან 80 კ.—მდე.**

უმორჩილესადა ვთხოვთ საზოგადოებას, რომ თვით დაგვეხმაროს წესიერების დაცვაში, სხვის ადგილზე ნურვინ დაჯდება, პატარა ბავშვებს თეატრში ნუ შემოიყვანენ და თეატრში სტვენა და ყურ-ზაური აკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრიდან გაყვანილი იქნება.

დირექცია **ამო-ხარაზიანი.**

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—ნ.—90

**ექიმი**-სპეციალისტი ქ. ქუთაისში **ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) აბულაძის მესამეზე, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—13)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—32)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

### ქუთაისში

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—27)

**ექიმმა** ქუთაისში. **ვოლოხმა**

ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება. დილით 10—12 ს., ხოლო საღამოთი 5—7 ს. კვირაობით მიღება მხოლოდ 1-მდე. (25—კვ.—12)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—280)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი**

არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ხალ.—31)

**ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის**

ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ხალ.—41)

**ექიმი ლ. ნ. ოჰანჯანოვი**

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნეისისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს, საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ხალ.—45)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

- **მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
- **ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.
- **ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
- **ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.
- **მ. კიმონტი**—ქირურგ, ავად. 11—12 ს.
- **მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
- **ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
- **ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ხალ.—43)

**ექიმი კაკიტელაშვილი** ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს., საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—13)

## ქართული თეატრი

სამშაბათს, ამა ოქტომბრის 27-ს,

წ.-კ. საზოგადოების გამგეობის მიერ

◄ გაიმართება ►

## ილია ჭავჭავაძის საღამო

1. განყოფილება: „სქესი, სიყვარული და „განდეგილი"—ლექცია გრ. რობაქიძისა.
2. კონცერტი **ვანო სარაჯიშვილის,** ი. ბარათაშვილის, ნ. გაბუნია-ცაგარლის და სხვათა მონაწილეობით.
3. ცხოველი სურათები ილიას თხზულებიდან („დედა და შვილი", „კაკო", „აჩრდილი", „პოეტი", „დიმ. თავდად.", „გაზაფხული", „გუთნის დედა") დეკლამაციით.

**ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი.** (5—3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.**

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; კვ. გარდა 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გირდა პარას. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ., ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—ნ.—20)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოკზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

- **ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
- **ა. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- **ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- **ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- **ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., შაბ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.
- **ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.
- **ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—188)

**შავი-ქვის** მრეწველთა მე-12 კრების თავმჯდომარის, სამთო-მადნო სამმართველოს უფროსის თანაშემწის, ტ. ს. ს. მარიან ივანეს ძე ჩენგერის წინადადებით, მრეწველთა საბჭო ამით აცხადებს, რომ მდგომარე 1909 წლის 30 ოქტომბრისთვის ქალაქ ქუთაისში დანიშნულია

## მე-12 მორიგი კრება შორაპნის ► ◄ მაზრის შავი-ქვის მრეწველებისა.

**განსახილველია შემდეგი საკითხები:**

1. არჩევანი კრების მდივნისა.
2. განხილვა საბჭოს და კომისიის ანგარიშებისა.
3. განხილვა სტატისტიკურ ცნობებისა.
4. განხილვა დებულებისა კრებების შესახებ.
5. სათადარიგო თანხის შექმნა კრების საჭიროებათათვის.
6. გადათვალიერება იმ პირობებისა, რომლითაც ჯილდო ეძლევათ უბედურ შემთხვევათაგან დაშავებულ მუშებს.
7. შავი-ქვის ტარიფის დაკლება ჭიათურის შტოზე.
8. კრებების საჭიროებათათვის საფუთო გადასახადის გადიდება.

(3—ნ.—4)

### „ტფილისის სობრანიე"

შაბათს, 24 ოქტომბერს, 1909 წელს

## საოჯახო საღამო

საღამოზე დაუკრავს საზანდარი.

**ანონსი:** შემდეგი საოჯახო საღამო კვირას, 25 ოქტომბერს. (1—517—1)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (0—კვ.—87)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—37)

## ტფილისი, 24 ოქტომბერი

სათათბიროს გახსნის წინა დღეებში მოხდა ფრიად საგულისხმო ამბავი. მთავრობამ უკანვე წაიღო „სარწმუნოებრივი კანონ-პროექტები", რომელნიც წარსულ საპარლამენტო სესიის დროს დამზადებული ჰქონდა სათათბიროს განსახილველად. სარწმუნოებრივი კანონ-პროექტები ეხებოდნენ ცხოვრების ორ ფრიად დიდმნიშვნელოვან მხარეს. ერთი კანონი ჰგულისხმობდა რელიგიოზურ პროპაგანდის თავისუფლებას. ჯერ კიდევ 1907 წლის 28 თებერვლის პროექტით შინაგან საქმეთა სამინისტრო აღიარებდა ამ თავისუფლებას. მსურველს ყოველგვარ სარწმუნოების ქადაგების უფლება ენიჭებოდა, ოღონდ ეს ქადაგება სისხლის სამართლის კანონების დამრღვეველი არ ყოფილიყო. მეორე კანონ-პროექტი ეხებოდა ეგრედ წოდებულ „შერეულ დაქორწინებას". მართლ-მადიდებელს უფლება ეძლეოდა სხვა სარწმუნოების ქალი აეყვანა ცოლად. ამას მოითხოვდა სარწმუნოებრივ თავისუფლების პრინციპი. და ამ ნიადაგზე სამინისტრო ჯერ კიდევ 1905 წელს იდგა.

ეხლა გარემოება შეიცვალა. ამ კანონ-პროექტების წინააღმდეგ სინოდი დიდი ხანია აგიტაციას ეწეოდა და მისმა აგიტაციამ ნაყოფიც მოიტანა. მინისტრ-პრეზიდენტმა უკანვე წაიღო ხსენებული კანონპროექტები. და ოფიციოზი „როსსია" აღიარებს, რომ საგანი რთულია, მეტი შესწავლა სჭირდება და მთავრობამ საჭიროდ დაინახა საგნის უფრო ღრმად შესწავლა და გათვალისწინება. ხოლო „საგნის უფრო ღრმად შესწავლა" სინოდის წინაშე ქედის მოხრას ნიშნავს. სინოდის გავლენა იმდენად გაიზარდა ამ შავ-ბნელ დროში, რომ იგი აშკარად ერევა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და არა თუ წინ ეღობება ამ ცხოვრების სეკულარიზაციას, არამედ ყოველ ღონესა ხმარობს სახელმწიფოებრივ ცხოვრების საფუძველნი საეკლესიო პრინციპზე ააგოს.

თუმცა საეკკლესიო კანონებით მართლმადიდებელს არ შეეძლო არამართლმადიდებელი აეყვანა ცოლად, მაგრამ ამ შემთხვევაში ეკლესია უთმობდა ხოლმე სახელმწიფოს. ახლა კი იგი წინააღმდეგია ამ დათმობისა. სახელმწიფო ეკლესიას ძალას ვერ დაატანს იმისთანა ქორწინებაზე თანხმობა გამოაცხადოს, რომელიც საეკლესიო კანონებს ეწინააღმდეგებაო. და სახელმწიფოს წარმომადგენელნიც მზად არიან ხელი აიღონ სახელმწიფოებრივ ცხოვრების სეკულარიზაციაზე.

ნამდვილად-კი სახელმწიფო ნეიტრალურ ნიადაგზე უნდა იდგეს. მის თვალში ქორწინებას რელიგიოზური ხასიათი არ უნდა ჰქონდეს, არამედ სამოქალაქო აქტის ხასიათი. ეს აქტი უნდა აინტერესებდეს სახელმწიფოს. და ამ აქტისთვის რელიგიოზურ ხასიათის მიცემა მას არ უნდა ეკითხებოდეს. საფრანგეთში კანონიერი ქორწინება ის არის, როდესაც ჯვარისწერის სამოქალაქო წესია ასრულებული (წიგნებში ჩაწერილია განსაზღრული ხელ-შეკრულება): ამ წესის ასრულების შემდეგ მსურველთ შეუძლიანთ ეკლესიაში წასვლა და იქ ჯვარისწერას რელიგიოზური სანქცია მისცენ. ხოლო ეს სავალდებულო არ არის. სახელმწიფო ამ შემთხვევაში ძალას არ ატანს. იგი სდგას ნეიტრალურ ნიადაგზე და იცავს მხოლოდ სამოქალაქო აქტის აღსრულებას.

რუსეთში ამ მხრივ ჯერ კიდევ შორსა ვართ. პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაედგა მთავრობას სახელმწიფოს სეკულარიზაციისაკენ, მარცხი ნაბიჯი გამოდგა. და დღეს რუსეთი ამ მხრივ ისევ ძველ წესს უბრუნდება.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 ოქტომბერი

### სპარსეთი

**თავრიზი.** გუშინ, 22 ოქტომბერს თავრიზში დაბრუნდა არდებილიდან გამოქცეული სათარხანი. მიუხედავად იმისა, რომ სათარხანმა არდებილში ვერაფერი გააკეთა, მცხოვრებლები მაინც ოვაციებით მიეგებნენ.

დააპატიმრეს რევოლიუციონერი სეიდ-უსეინ-ხანი. მან თავრიზის გაზეთში დაბეჭდა წერილი და იძრა საკითხი, მაჰმადიან ქალებს ნება მიეცეთ, რომ ჩადრები აღარ ატარონო.

**თავრიზი.** საოლქო ენჯუმენის წევრები გენერალ-გუბერნატორმა დანიშნა. წინანდელი წევრები მეჯლისის დეპუტატად აირჩიეს. საოლქო ენჯუმენის წევრების არჩევნები იმიტომ არ მოხდა, რომ ამომრჩევლები არ გამოცხადნენ.

**თავრიზი.** არდებილიდან იტყობინებიან: რახიმ ხანი და შახსევანებმა სულ ერთიანად აიკლეს ქალაქი. გაცარცვეს დუქნები, ქარვასლები და კერძო სახლები. გუბერნატორმა, ენჯუმენის წევრებმა

და სამღვდელოებამ თავი რუსეთის საკონსულოს შეაფარესო.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტომ არდებილის მდგომარეობის შესახებ შემდეგი ცნობები მიიღო: გუბერნატორმა, ენჯუმენის წევრებმა და სამღვდელოებამ თავი რუსეთის საკონსულოს შეაფარეს. ამის შემდეგ ქალაქი დაიჭირეს შაჰსევანებმა და ყარადაღელებმა, მთელი ქალაქი აკლებულია. შაჰსევანებმა რუსეთის კონსულს გუბერნატორის, ენჯუმენის წევრების და სამღვდელოების გაცემა მოსთხოვეს. მოსალოდნელია, რომ შაჰსევანები და ყარადაღელები საკონსულოს დაეცნენ. საკონსულოს სულ 100 ყაზახი იცავს და თუ შაჰსევანები და ყარადაღელები საკონსულოს დაეცნენ, ესენი მტერის მოგერიებას ვერ შესძლებენ. ამიტომ არდებილში ქვეითა ჯარის ერი ბატალიონის ყაზახთა ორ ასეულია, საპიროთა რაზმის და ორი ზარბაზნის გარდა, კიდევ გაიგზავნება მეორე საკმაოდ ძლიერი რაზმი, თუ შაჰსევანები და ყარადაღელები საკონსულოს დაეცნენ, შესაძლებელი იყოს მათ წინააღმდეგ შესაფერ ზომების მიღება.

### არეულობა საბერძნეთში

**ათინა.** ნაშუადღევს კაფაზიუს გზაზე დააპატიმრეს ტიპალდოსი და მისი თანამგზავრები. ყველანი გადაცმულები იყვნენ. მათ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ტიპალდოსის თანამგზავრებმა გაქცევა დააპირეს, მაგრამ სროლის შემდეგ გაჩერდნენ. ტიპალდოსს თავისით სდომებია გამოცხადება, რომ თავი გაემართლებინა.

### ჰაერში ფრენა.

**მარმელან-ლე-გრანი.** ავიატორი ფორმანი 4 საათსა, 17 წუთსა და 52 წამში $232^1/_4$ კილომეტრი გადაფრინდა. დღევანდლამდე ჯერ არავინ გაფრენილა $232^1/_4$ კილომეტრი.

### ბრძოლა ეროვნულ უფლებებისათვის.

**პრაგა.** რეიხსტრატის, სეიმის და ზედა პალატის ყველა დეპუტატების კრებამ დაადგინა გამოვცეთ მოწოდება და პროტესტი განვუცხადოთ მთავრობას ქვემო და ზემო ავსტრიის, ზალსბურგის და ფოსალბერგის ლანდტაგების ენების შესახებ კანონ-პროექტების დამტკიცებისთვისო. ამას გარდა მოწოდებაში ეწერება, მთავრობამ ამ საქციელით ჩვენი ნდობა დაკარგა და ბრძოლას ვუცხადებთო.

**ადდის აბება.** აბესინიის იმპერატორი მენელიკი უფრო კარგად გრძნობს თავს, მაგრამ შესაძლებელია უეცრივ გარდაიცვალოს. მთავრობამ უკვე ზომები მიიღო წესიერების დასაცველად. იმპერატორის მანიფესტს მემკვიდრე ლიჯასსურის დანიშვნის შესახებ მშვიდობიანად შეხვდნენ.

**ვაშინგტონი.** ნაციონალურმა საგეოგრაფიო საზოგადოებამ პირს, ჩრდილოეთის პოლიუსის აღმოჩენისთვის, ოქროს მედალი მიართვა.

**ბერლინი.** ოფიციალურად გამოცხადდა, რეიხსტრატს 17 ნოემბერს მოვიწვევთო.

**ვენა.** სლავიანთა საპარლამენტო კავშირმა განაცხადა, ეხლანდელ მთავრობასთან მოლაპარაკებას ვწყვეტავთ და მხოლოდ ისეთ მთავრობას შეუწყობთ ხელს კრიზისის გადაწყვეტაში, რომელიც ყველა ერებს სამართლიანად მოექცევაო.

### რ უ ს ე თ ი

**ოსტროგოჟსკი.** პოლიციამ ვალუსკის ახლო ტყეში აღმოაჩინა ასაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობი.

**ალექსანდროვსკი.** ეკატერინოსლავის ოლქის სასამართლომ განიხილა ხუთი კაცის საქმე. ბრალდებოდათ 1905 წელს ებრაელების აწიოკება. სასამართლომ ყველანი გაამართლა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს შეკითხვების შესახებ კომისიამ განიხილა სოციალ-დემოკრატების შეკითხვა მე 96 სტატიის შესახებ. კომისიამ (11 ხმით, წინააღმდეგ 8) უსაფუძვლოდ სცნო შეკითხვა.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 14, გარდაიცვალა 2, ავად არის 250 კაცი.

## შავი-ქვის საქმეები

რა ნებავთ ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა თვით - მმართველობის მტრებს?

თქვენს გაზეთში დაწვრილებით იყო მოხსენებული, რა დიდი დამსახურება მიუძღვის მთელს რაიონში შავი ქვის მრეწველთა სამრეწველო თვით-მმართველობას. ადგილობრივ კულტურულ საჭიროებათა დაკმაყოფილებაში დიდი სარგებლობა მოუტანია ამ დაწესებულებას.

რა სურთ იმის მტრებს? არაფერი გარდა იმისა, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ პირში ჩალა გამოავლონ და მათი ინტერესები შელახონ და ეს თვით-მმართველობა თავიანთ გაუმაძღარ მადის დასაკმაყოფილებლად გაიხადონ. ჩვენის უცოდინარობისა და უკულტურობის წყალობით ამ დიდ მრეწველობიდან ჩვენ ხალხს არა დარჩება-რა. ორიოდე ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულ აქაურს მრეწველს თუ უშოვნია რამე—სულ დიდი 50-10,000 მანეთი, ეს იმდენად დიდ იდეალად შექმნილა იმისთვის, რომ მეტს აღარც ეტანება და კაცმა რომ სთქვას, არც ძალა და ღონე შესწევს მეტისათვის. ერთად-ერთი სარგებლობა, რომელიც მათა აქვთ, ეს ამ ადგილობრივ თვით-მმართველობისაგან. ამ თვით-მმართველობის შემწეობით მათა აქვთ საუკეთესო საავადმყოფო მთელს გუბერნიაში, აქვთ სკოლა, ხარჯავენ კარგა ბლომა ფულს შვილების განათლებისათვის.

ეს არის მთელი ამ სიმდიდრიდან. შეიძლება ეს შერჩეთ და მეტი არაფერი. ამათ წელიწადში 300.000.000 ფუთი გაუტანიათ და ამ 300,000,000 დან მათის საჭიროებისათვის დარჩენილა რაღაც $1^1/_2$ მილიონ მანეთზე ცოტა მეტი,—მაშინ როდესაც ამ ქვის გადამზიდავ ჩარჩების ჯიბეში 3—6 მილიონი მანეთი ჩასულა. ამიტომაც არის, რომ ადგილობრივი მრეწველი (ზოგიერთ მახინჯის გარდა) თავ გამოდებით იბრძვის ამ დაწესებულებისათვის. საინტერესოა პირველ ყოვლისა გამოარკვიოთ, ვის აწევება საფუთო გადასახადი კისერზე. ყოველ არსებულ მომენტში აქაური ჩარჩები (და ყველგან ასეა ვაჭრობის წესი) იმ ფასს აძლევენ საქონელში, რომელიც მათ ხელს აძლევს. ისინი უთუოდ ყიდულობენ ადგილობრივ საქონელს ბევრად უფრო იაფად, ვიდრე მისი ფასია ბირჟაზე, რათა თავიანთი გასამრჯელო აიღონ. ვთქვათ, დღეღეობით ფოთში ჩატანილ შავ-ქვაში იძლევიან 16 კაპეიკს აქედან მყიდველი გამოდის გადასატანის ფასს და საფუთო გადასახადსაც და სხვა ხარჯებს—ვთქვათ $9^1/_2$—10 კაპეიკს. მერე გამოვა თავის მოგებას და აძლევს ქვაში $5^1/_2$ კაპეიკს. თავის დღეში არ მოხდება, არც მომხდარა და არც შეიძლება, რომ რომელიმე ვაჭარმა საქონელი უფრო ძვირად იყიდოს, ვიდრე მისი გაყიდვა შეუძლიან. მაშასადამე, ყოველივე ზედ-მეტი ხარჯი აწევს შავი-ქვის ადგილობრივ გამყიდველს და არა იმის მყიდველს. ჩვენებური, ადგილობრივი მწარმოებელი იმდენად გაჭირვებულია, რომ იძულებულია საქონელი გაჰყიდოს თითქმის მუქთად და თავი იმით ნუგეშოს, რომ ხელში გავლილი ფული ჰუჰყს მაინც დაუტოვებს.

მიუხედავად ამისა, ყოველთვის საფუთო გადასახადის მომატების წინააღმდეგ იბრძვიან ექსპორტერი-ჩარჩები. რატომ? კაცი ვერ გაიგებს. შეგნებული ევროპიელი იმასა სცდილობს, რომ მის მიერ გატყავებულის გული მოიგოს იმით, რომ მათ ზურგზე აღებული ნასუფრალი გადაუგდოს. აქ კი ამ ნასუფრალსაც გვედავებიან. ცინიზმით ალსავსეა მათი მოპყრობა ადგილობრივ კულტურულ საჭიროებისადმი. ერთ-ერთ სარევიზიო მოხსენებაში ეს ვაჟბატონები აი რასა სწერენ: „სტიპენდიებზე გადადებულ ფულიდან საბჭოს დარჩენია დაუხარჯავი 2880 მან. (5000 მანეთიდან). საბჭოს ამისათვის საყვედურის ღირსი არ არის, პირიქით **სასიხარულოა,** რომ ეს ფული არ დაუხარჯავს". აი როგორ უყურებენ ეს „ევროპიელი" მოქალაქენი ადგილობრივ მკვიდრთა გონებრივ მოთხოვნილებებს!

მათი ბრძოლა ყოველთვის უნაყოფოდ რჩებოდა. 1903 წელს ასტყდნენ, ყოველი კანონიერი, წესიერი და უკანონო უფლება იხმარეს, მაგრამ რა მოიგეს, ის რომ მათი გავლენა კრებაზე ერთიორად შეამცირეს. დღესაც ამისთვის იბრძვიან. შეიძლება სთქვას კიდეც ვინმემ, რომ მათ აინტერესებთ მრეწველობის ბედ-იღბალი. მტკნარი სიცრუეა. პირიქით, ისინი სისტემატიური მტერნი არიან ყოველივე გაუმჯობესებისა მრეწველობაში, თუ კი ეს პირდაპირ მათი სასარგებლო არ არის. ისინი ბრძანდებოდნენ, რომ იბრძოდნენ „ჩუმად" და ცხადად ტარიფის დაკლების წინააღმდეგ, მაგათი წყალობაა, რომ მარგანეცის მექანიკურ გადამზიდავების საქმე დღესაც მივიწყებულია. ერთად ერთი იმათი სანუკარი ის არის, რომ სამრეწველო თვით-მმართველობა შეზღუდონ, ყოველივე სალსარი მოუსპონ და თანაც თვითონ გაბატონდნენ, რომ სრულებით განაძევონ კრებულიდან შავი-ქვის მრეწველნი.

აილეს, მაგალითად, ამ 30 ოქტომბრისათვის მოწვეული კრება. უკვე ვწერდით, რომ ყოველი ღონე იხმარეს, რათა ეს კრება მოეწვიათ: უკანასკნელ „გოროდოვოი"-დან დაწყებული უმაღლეს ბიუროკრატიის წარმომადგენლამდის ყველას მოაბეზრეს თავი და მაინც არც ერთი ისეთი საკითხი არ შეუტანიათ, რომელსაც რაიმე მნიშვნელობა აქვს მრეწველობისათვის. საფუთო გადასახადის შემცირება და წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა—აი, მთელი მათი იდეალი. წესდების შეცვლაში მათ ერთი რამ აინტერესებთ მხოლოდ—ეს ხმის განაწილება. 1903 წლამდის ხმები ისე იყო განაწილებული ის, რომ დარჩენილიყო, წლევანდელს კრებაზე, მაგ., შალვერის ფირმას ექნებოდა ორი ხმის მაგიერ ხუთი ხმა, ხოლო ფორუდისას 12 ხმა, ოთხის მაგიერ. მაგრამ მაშინდელმა კრებამ გადასწყვიტა და სამინისტრომაც ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა, რომ ოთხი ხმის მეტის ქონება არავის არ შეუძლიან, ისიც ორი—თუ ქვის დამუშავებასაც ეწევა.

მიუხედავად იმისა, რომ 1903 წლის 5 ჩვეულებრივ კრებაზე ჩარჩებს მათთვის სასიამოვნო ხმის განაწილება ჰქონდათ, ფონს მაინც ვერ გავიდნენ, რადგან ადგილობრივ მრეწველთა რაოდენობა სჭარბობდა და დღესაც სჭარბობს მათ. მაინც ჰგონიათ, რომ მთელი ხსნა და შველა მათი ამ განაწილებაშია და ეხლა წარმოადგინეს ახალი პროექტი განაწილებისა. ჩვენ არ გამოუდგებით წვრილმანს. ვიტყვით მხოლოდ, რომ იგი ბევრად უფრო რეაქციონურია, ვიდრე ის კანონი, რომელიც 1903 წლამდის მოქმედებდა. ასე, მაგალითად, შალვერის ფირმას, როგორც მოგახსენეთ, ძველის კანონით ხუთი ხმა ექნებოდა, ხოლო ახალის პროექტით—ექვსი ხმა ექნება, ფორუდისას—14 ხმა. ამგვარად, ამ ვაჟბატონებს უნდათ მთელი კრება ხელში ჩაიგდონ. საქმე ის არის, რომ ამ საგნის გარჩევაში, წესდების თანახმად, შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს ყოველმა მრეწველმა. მაშასადამე, წრეულს ამ საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა შეუძლიან მიიღოს 120 კაცმა, რომელთაგან ექსპორტერ-ჩარჩებს მარტო 25—30 ხმა ეკუთვნით. ამნაირად, მათი გეგმა ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ რაკი წესიერად ამის ასრულება არ შეუძლიათ, უწესოებას დაადგენენ და შეაჩერებს სამინისტრო—გინდა თუ არა პროგრამაში შეიტანე არჩევნებიო. არჩევნებში მონაწილეობა შეუძლიანთ მიიღონ მარტო იმათ, ვისაც კენჭი აქვს. ხოლო კენჭი ამ 120 კაცში აქვს მარტო 23 კაცს, რომელთაგან 16 მათ ეკუთვნის, ასე რომ ვისაც უნდა, იმას გაიყვანენ საბჭოში და თუ გინდ კრებას უარი ეთქვას მათის სურვილების ასრულებაზე, „თავიანთ" კაცებს დაავალებენ სხვა და სხვა „კანცელიარულის" ხრიკებით საწადელი აღასრულონ.

**ჭიათურელი.**

**„დროების" ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „სალომე" (დასასრული), დრამა უაილდისა, თარ. პ. დადვაძისა, „მამა", შალვა დადიანისა; სურათები: „დავითი"—ქანდაკება მიქელ ანჯელოსი, ნიკოლოზ დადიანი და ორი სურათი სპარსეთის ცხოვრებიდან.**

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **წერა-კითხვის საზოგადოება.** 22 ოქტომბერს მოხდა სხდომა წერა-კითხვის საზოგადოებისა. გამგეობამ გაიცნო ილია ჭავჭავაძის ძეგლის ახალი სურათები მექანდაკის ი. ნიკოლაძის მიერ შესწორებული. გამგეობამ მოიწონა შესწორებული გეგმა ძეგლისა და დაადგინა, გაეგზავნოს ძეგლის გამკეთებელს ათას ორასი მანეთი. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია დ. გ. კარიჭაშვილის მოხსენებამ საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმის რევიზიის შესახებ. მომხსენებელმა გამგეობას აცნობა აქამდე არსებული შეუსაბამო წესი საზოგადოების ბიბლიოთეკიდან სამეცნიერო აზრით წიგნების გატანა სარგებლობისა. გამოირკვა, რომ ზოგიერთი დროზე არ აბრუნებს წაღებულ წიგნებს. თუმცა უმნიშვნელოა, მაგრამ რამდენიმე წიგნი მაინც დაკარგულა. რომ შემდეგში ასეთი წესი არ გამეორდეს, კარიჭაშვილმა გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგინა მის მიერ შემუშავებული წესი ბიბლიოთეკიდან წიგნებით სარგებლობისა. გამგეობას ისიც მოხსენდა, რომ ზოგი ძვირფასი ხელ-ნაწე-

---

## ობოლი ნავი

ფირუზის ფერი ზღვისა ზვირთები
მიჰგორავს, ღმუის, შფოთავს, გრიალებს
და ზედ ბეჩავი
ჩემი ტლუ ნავი
ტალღათა შორის მიმოსრიალებს!

* *
*

მკერდს ვაფოლადებ, ვგმირავ რა მკლავით...
ხან ძირში მშთანთქავს, ხან მატივტივებს,
ხან ზედა პირზე ამისვრის ნავით,—
ვეთამაშები დილის მზის სხივებს.

* *
*

ვერსად ვერ ვპოვე სულის სიმშვიდე,
ვერ დავიწყნარე სურვილი მწვავი!
სად ვპოვო მსხნელი
ნავთ-საყუდელი,
რომ შევაჩერო ობოლი ნავი?..

**ი. გრიშაშვილი.**

## თოვლი

მე შენა გნახე დალონებული,
თვალთაგან ცრემლი არა გდიოდა;
მესმოდა რა რიგ გიკვნესდა გული,—
სევდის ტალღებზე გადადიოდა!..

—

მე შენ სახეზე ვნახე ზამთარი,—
თუმც დილა იყო ნათელ-მზიანი;
იქარგებოდა მწვანით მთა-ბარი,
ჰქროდა ნიავი ოქროს ფრთიანი!..

—

ახ, მაშინ თოვლი როგორ მომნატრდა!
ჩემს უკანასკნელ დღეს გავწირავდი,
ან მთად, ან ბარად, ან ხის წვეროზე,
თეთრად გადაშლილ თოვლს თუ ვნახავდი!..

—

მომიკვდა ნატვრა!.. დალონებული
იდექ... კვლავ ცრემლი არა გდიოდა,
მხოლოდ ეგ გული, უღვთოდ მოკლული,
სევდის ტალღებზე გადადიოდა!..

**ბ. ახოსპირელი.**

## მზეო, მზეო!

მკრთალსა ნათელს აფრქვევს სარკმელს
განთიადი შვებით სრული;
ხარობს ყველა... ისმის სტვენა:
ბაღში დაჰყეფს ვარდს ბულბული.
დილის ძილმა მოგიტყუა,
ტკბილ ოცნებით აღგზნებული;
სარეცელში ნაზად გძინავს,
განისვენებს შენი გული.

—

მზეო, მზეო! შეისმინე,
ნუ გაუკრთობ ძილს მეგობარს;
აღუშფოთველს ნუ მოუსპობ
სუნთქვას ესდენ მშვიდსა და წყნარს.
ნურც ჰე, მზეო, შეგშურდება,
დაე ტკბილად მას ეძინოს:
ეგებ, ბედკრულს, მეც მის ახლო
ნეტარება დამესიზმროს!..

**ა. შანშიაშვილი.**

## წაბლა

**მოთხრობა ან. ჩეხოვისა.**

(დასასრული*)

7

**ჩაშლილი დებიუტი.**

ერთ მშვენიერ დღეს, ბატონი ჰუჰყის ოთახში ეს აიტანეთ და „ჰუჰყ" შემდეგ იყოს. ხელების ფშვნეტით შევიდა და სთქვა:

— აბა!..

კიდევ რიღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ აღარა სთქვა და ისევ გავიდა და ძალოა, რომელმაც გაკვეთილების დროს ბატონის სახისა და ხმის გამომეტყველება კარგად შეისწავლა, მიხვდა, რომ ბატონი აღელვებული, დარდიანებული და მგონი გაჯავრებულიც იყო. ცოტა ხნის შემდეგ ბატონი დაბრძანდა და სქვ:

— დღეს ძალოასა და ფედორ ტიმოფეიჩს წავიყვან. ეგვიპტის პირამიდაში, შენ, ძალოავ, ცხონებულ ივან ივანიჩს ადგილს დაიჭერ. დასწყევლოს ეშმაკმა! მზად არაფერი გვაქვს, არაფერია ნასწავლი! რეპეტიციებიც ცოტა გვქონდა... შევრცხვებით, შევრცხვებით!

შემდეგ გავიდა და მალე დაბრუნდა ცილინდრითა და თბილ ქურქში გახვეული. მერე კატასთან მივიდა, წინა ფეხებში ხელი წაავლო და უბეში ჩაისვა. კატა ამ დროს ძალიან გულ-გრილად იქცეოდა და თავი იმდენადაც კი არ შეიწუხა, რომ თვალი გაეხილა. როგორც ეტყობოდა, იმისთვის სულ-ერთი იყო ნაალზე იწვებოდა თუ ფეხებით იქნებოდა აწეული, თავის ნაალზე ეგდებოდა თუ ბატონის გულზე ქურქის ქვეშ განისვენებდა...

— ძალო, წამო!—უთხრა წაბლას ბატონმა. წაბლას არა გაეგებოდარა. კუდის ქნევით უკან გაჰყვა. ერთი წუთის შემდეგ უკვე მარხილში იჯდა, თავის ბატონის ფეხებთან და იმის ბუტბუტს ყურს უგდებდა:

— შევრცხვებით! ჩაგვეფუშება საქმე!

მარხილი ერთ დიდ, საკვირველ სახლის წინ გაჩერდა. სახლი გადმობრუნებულ ჯამსა ჰგავდა. ამ სახლის შუშებიანი, სამ-კარიანი შესავალი თორმეტის ფანრით იყო განათებული. კარები წკრიალით იღებოდა და დიდ პირსავით ნთქავდა ხალხს, რომელიც იმის წინ ირეოდა. ხალხი ბევრი იყო. კარებს ხშირად ცხენებიც მოადგებოდნენ ხოლმე, მაგრამ ძაღლები კი არა სჩანდნენ.

ბატონმა ძალოა ხელში აიყვანა და უბეში ჩაისვა, იქ, სადაც კატა იჯდა. იქ ბნელოდა. ჰაერი შეხუთული იყო, მაგრამ თბილოდა კი. მწვანე და მკრთალმა ორმა ნაპერწკალმა წუთით იფეთქა. კატამ, მეზობლის უხეშ და გაყინულ თათებით შეწუხებულმა თვალი გაახილა. ძალოამ მას ყური აულოკა და სურდა რა, რომ უფრო მოხერხებულად დამჯდარიყო, მოუსვენრად აფათურდა, კატა გაყინულ ფეხებით გათელა და უცბად უბიდან თავი გამოჰყო; მაგრამ გაჯავრებულ ღრენით ისევ უბეში ჩაიყურყუმელავა. ძალოას ისე მოეჩვენა, თითქოს დიდ, ცუდად განათებულ და საკვირველებით სავსე ოთახი დაინახო. ფიცრულსა და მოაჯირებიდან, რომლებიც ოთახის ორივე მხარეს ჩარიგებულნი იყვნენ, საშინელი სახეები იცქირებოდნენ; ისინი იყვნენ: ცხენებისა, რქიანები, გრძელ-ყურიანი და ერთიც რაღაცა სქელი, უზარ-მაზარი სახე იყო, რომელსაც ცხვირის ნაცვლად კუდი ჰქონდა და პირში ორი გამოხრული დიდი ძვალი ეჩარა.

კატამ ძალოას ფეხებ-ქვეშ დაიჩხავლა, მაგრამ ამ დროს ქურქმა გაიფრიალა და ბატონმა დაიყვირა: „ოჰ!" კატა და ძალოა იატაკზე გადახტნენ. ისინი ერთ ნაცრის ფერ ფიცრულ ოთახში იყვნენ. აქ სარკიან მაგიდისა, ფიცრის კარისა და კედელზე ჩამოკიდებულ ძონძების მეტი არა იყო-რა. ლამფის მაგივრად მარაოს მსგავსი ნათელი ცეცხლი ენთო, რომელიც კედელში გალი ენთო, რომელიც კედელში გაკეთებულ პატარა მილზე იყო მიკერებული, კატამ ძალოას ფეხებით გარული, კატამ ძალოას ფეხებით გათელილი ქათიბი გაილოკა, სკამ ქვეშ შეძვრა და დაწვა. აღელვებულმა ბატონმა, რომელიც ხელებს ისრესდა, გახდა დაიწყო. ისე გატიტვლდა, როგორც შინ, როცა თბილ საბან ქვეშ დასაწოლად ემზადება ხოლმე, ე. ი. ტანისამოსი მთლად გაიხადა, თეთრეულს გარდა, მერე სარკეს მიუჯდა და თავის თავს საკვირველ რამეებს უშვრებოდა. ყველაზე უწინ მან თავზე შუა გაყოფილი, რქების მსგავსის ორ-ქოჩორა პარიკი დაიხურა. შემდეგ სახეზე რაღაცა თეთრი სალებავი წაიგლისა, ზედ წარბები და ულვაშები დაიხატა და ფერი წაისვა. საქმე ამით არ გათავებულა. როცა სახე გაითხუპნა, ბატონი ისეთი ტანისამოსით შეიმოსა, რომელიც ძალოას წინად არც ქუჩაში და არც სახლებში არ ენახა და რომელიც არაფრის მსგავსი არ იყო. წარმოიდგინეთ განიერი შარვალი, რომელიც იღლიებში იკვრება; შარვლის ერთი ტოტი ყავის ფერ ჩითისა იყო, მეორე ბაცყვითელი. როცა ბატონი ამ შარვალში ჩაიფლო, მერე ჩაიცვა ჩითისავე ხალათი, რომელსაც კბილებიანი საყელო ჰქონდა და ზურგზე ოქროს დიდი ვარსკვლავი ეკერა; ჩაიცვა აგრეთვე ჭრელი ჩულქები და მწვანე ფეხსაცმელი.

ძალოას თვალიც და სულიც აუჭრელდა. თეთრ - სახე, ტომარის მსგავს არსებას ბატონის სუნი უდიოდა, ხმაც ნაცნობი იყო, ბატონისა, მაგრამ ამავე დროს იყო ხოლმე ისეთი წუთები, რომ ძალოას ეჭვი ჰქონდა. იგი მზად იყო ამ ჭრელ არსებას გაჰქცეოდა და აყეფებულიყო. ახალი ადგილი, მარაოს მსგავსი ცეცხლი, სუნი, მეტამორფოზა, რომელიც ბატონს მოუხდა, ყველაფერი ეს გაუგებარ შიშს და წინად გრძნობას უნერგავდა. ეს წინაგრძნობა ეუბნებოდა, რომ იგი საშინელ რამეს შეჰხვდებოდა; თუნდ იმ სახის მაგვარს, რომელსაც ცხვირის ნაცვლად კუდი ჰქონდა. ამას გარდა, სადღაც კედელს უკან მუსიკა უკრავდა, მუსიკა, რომელიც ძალოას ძალიან ეჯავრებოდა და თან დრო გამოშვებით გაუგებარი ღრიალი ისმოდა: კატის აუმღვრეველი გულ-მშვიდობა. ის სკამ-ქვეშ მშვიდად იჯდა, სთვლემდა და თვალს მაშინაც კი არ ახელდა, როცა სკამი ინძრეოდა.

ვიღაცა კაცმა, თეთრებში გახვეულმა, ოთახში შემოიხედა და სთქვა:

— ამ წუთში მისს არაბელლის გამოსვლაა, იმის შემდეგ თქვენ იქნებით...

ბატონმა არაფერი არ უპასუხა. მაგიდის ქვეშიდან მოზრდილი ჩემოდან გამოიღო და რაღაცას დაუწყო ცდა. ტუჩებსა და ხელებზე აღელვება ეტყობოდა და იმის სუნთქვის კანკალი ძალოას ესმოდა.

— M-r. ჟორჟ, მობრძანდით!—დაიყვირა ვიღაცამ.

*) იხ. „დროება" N 235.

...ი უქმოდ არის შკაფებში შენახული და ხმარების დროს ფუჭდებაო. გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს ტფ. სათავად-აზნაურობას, გაუგზავნოს საზოგადოების მთავარ გამგეობას ბიბლიოთეკა-მუზეუმის შესანახად დანიშნული ფული. დაავალოს დ. კარიჭაშვილს, დაამზადებინოს სანიმუშო ყდები და ბუდეები ბიბლიოთეკის წიგნებისა და ხელ-ნაწერებისათვის; განმეორებით მოეთხოვოს ყველას წაღებულ წიგნებისა და ხელნაწერების დაბრუნება; დამტკიცდეს ბ-ნ კარიჭაშვილის მიერ შემუშავებული წესი წიგნების ჩაწერისა კატალოგში და გაცემისა და ეს წესი ბეჭდვილ იქმნეს მომავალში სახელმძღვანელოდ. დასასრულ გამგეობამ დაავალა კანცელარიას, გამოიკვლიოს დაკარგულ წიგნების ვითარება. იმავე სხდომაზე გამგეობამ რამდენიმე წვრილმანი საქმე განიხილა. სხვათა შორის, გამგეობამ განიხილა ერთი განცხადება ქართულ სტენოგრაფიის შესახებ. გამგეობამ დაადგინა, მიიწვიოს იგი მოსალაპარაკებლად.

◆ **ლექცია გრიგოლ რობაქიძისა.** დღეს, 24 ოქტომბერს, ქართულ თეატრში დანიშნულია საინტერესო ქართული ლექცია. ლექციას წაიკითხავს ბ-ნი გრიგოლ რობაქიძე ამ თემაზე: „სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა". ბარათაშვილი უდიდესი ჩვენი მგოსანია, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი დღემდე ჩვენს ლიტერატურაში საკმაოდ არ არის დაფასებული. ბ-ნი რობაქიძე, ეჭვი არ არის, ბევრ ახალ რამეს გადმოგვცემს ბარათაშვილის შემოქმედებაზე. დღევანდელს ლექციაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ბ-ნნი ივანე გომართელი და ნიკოლოზ ერისთავი. გომართელი წაიკითხავს მგოსნის ბიოგრაფიას, ხოლო ერისთავი წარმოსთქვამს მისს ლექსებს.

◆ **„ნაკადული".** გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" (მცირე წლოვანთათვის) მეოცე ნომერი. ნომერში მოთავსებულია თხზულებანი შ. მღვიმელისა, თ. რაზიკაშვილისა, თ. ბაქრაძისა, ან. ამილახვრისა და სხვათა.

◆ **გამოცემებისთვის.** მიწათმოქმედების დეპარტამენტს კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისთვის გადაუდევია 3000 მანეთი. ეს ფული საგამომცემლო საქმეებისთვის არის გადადებული.

◆ **ჰაეროპლანი.** „ბაკუს" სიტყვით, ბაქოში ბელენკის სახელოსნოში ორი ინჟინერ-ტეხნოლოგი შესდგომია ჰაეროპლანის გაკეთებას. ინჟინრები ჯერ-ჯერობით თავიანთ გვარს არ აცხადებენ.

◆ **ლექტორების კრება.** 23 ოქტომბერს ქალთა უმაღლეს კურსების დეკან პროფ. კ. ვ. ხარიჩკოვის თავმჯდომარეობით მოხდა კავკასიის შესასწავლელ კურსების ლექტორების საზოგადო კრება. გ. მ. თუმანოვმა წაიკითხა მოხსენება კურსების ორი წლის მოქმედების შესახებ. ამის შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა, სასურველია თუ არა კურსების მოქმედების გაგრძელება. კრებამ სასურველად სცნო კურსების არსებობა, აირჩია ორი კომისია, საბუნებისმეტყველო და საისტორიო-ფილოლოგიური, რომლებიც შეიმუშავებენ კურსების ტიპს და თვითეულ საგნის პროგრამმას. კომისიების მუშაობის დამთავრების შემდეგ ხელ-ახლად მოხდება საზოგადო კრება და განიხილავს კომისიის ნამუშევარს („ტ. ლ.").

◆ **საზოგადოება „საზოგადო სამკითხველოები".** 21 ოქტომბერს მოხდა საზოგადოება „საზოგადო სამკითხველოების" დამაარსებლების კრება. ამ საზოგადოების მიზანია ხელმოკლე პირებს დაკლებულ ფასებში მიაწოდოს წიგნები, ჟურნალები და გაზეთები. კრებაზე დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა, მივიღოთ კაიდანოვისგან შემოწირული სამკითხველო და წიგნთსაწყობი თუ არაო. საზოგადოების წევრმა ლ. ი. მღებროვმა კრებას წინადადება მისცა, ეხლავე მივიღოთ კაიდანოვის შემოწირულება და მისი ვალი 1300 მანეთიო. კრებამ უარ-ჰყო ეს და დაადგინა აირჩიოს კომისია, რომელიც დაათვალიერებს კაიდანოვის სამკითხველოს და წიგნთ-საწყობს, გაეცნობა საქმეს და თუ სახეირო იქნება მიიღებს კაიდანოვის შემოწირულებას („ტ. ლ.").

◆ **უფროსი ბუხჰალტერი.** როგორც ვწერდით, ქალაქის ბუხჰალტერი ერმიშევი ავადმყოფობის გამო ექვსი თვეა სამსახურში აღარ დადის. უკანასკნელ სხდომაზე ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ერთი წლით უფროს ბუღჰალტერის თანამდებობაზე მოიწვიოს გარეშე კაცი. უფროს ბუღჰალტერს წელიწადში 3500 მანეთამდე აქვს ჯამაგირი და ამ თანამდებობას არ დაერიდება უმაღლესად განათლებული და კარგად გამოცდილი კაცი, მაგრამ, როგორც გავიგეთ, გამგეობას განზრახვა აქვს ამ თანამდებობაზე მიიწვიოს უმცროსი ბუღჰალტერი ოტიანცი.

◆ **ილიას ფონდის გასაძლიერებლად.** ყვირილაში დღეს, 24 ოქტომბერს, ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ყვირილის განყოფილება მართავს წარმოდგენას ილიას ფონდის გასაძლიერებლად. შორაპნის სამაზრო სასწავლებლო საბჭომ ნება დართო ამავე საზოგადოებას გახსნას ყვირილის საკვირაო სკოლა. სწავლა ამ სკოლაში გიორგობისთვეში დაიწყება.

◆ 21—22 ოქტომბერს ქალაქის სხვა და სხვა უბანში შემდეგი ამბები მოხდა: სასახლის ქუჩაზე ნინო მერაბოვისთვის ჯიბ-ირებს ამოუცლიათ საათი, 18 მან. ღირებული. პოლიციამ ეჭვით დააპატიმრა ალექსანდრე ბეჟანოვი. ერევნის მცხოვრები დავით კალაკოშოვი შეხვედრია თავის ნაცნობს აკოფ გრიგორიევს, რომელსაც იგი მოედნის ერთ ერთ დუქანში მიუწვევია. გრიგორიევს კალაკოშოვისათვის ამოუცლია საათი და ფულად 4 მან. გრიგოროვი დააპატიმრეს. 22 ოქტომბერს პოლიციამ დააპატიმრა სტეფანე კურლიგინი, რომელსაც 59 მანეთის ნივთები მოეპარა ტფ. მიხეილის საავადმყოფოს მსახურის ვასილ ნიკიტინის ოთახიდან. მოპარული ნივთები პატრონს დაუბრუნეს. 19 ოქტომბერს როზოვოი მოედანზე მძიმედ დასჭრეს ტფ. მცხოვრები ვასილ შაუტაშვილი. შაუტაშვილმა ამ ბოროტ-მოქმედებაში ეჭვი მიიტანა ნიკო ლოხ კალმიკოვზე, რომელიც დაუპატიმრებიათ. მაგრამ მალე პოლიციამ ეჭვით დააპატიმრა ისააკ არუთინოვი. არუთინოვმა განაცხადა, მე სამაგიერო გადაუხადე შაუტაშვილს, რადგან მან ამ ორის წლის წინად დამსჭრაო. კალმიკოვი გაანთავისუფლეს, ხოლო არუთინოვი დააპატიმრეს. 22 ოქტომბერს პუშკინის პასაჟში მიხეილ კალტანიანცის მაღაზიაში დააპატიმრეს უცნობი კაცი, რომელსაც მაღაზიის პატრონისაგან ბაქოში წასასვლელი ფული მოუთხოვნია. უცნობი აღმოჩნდა ერევნის გუბერნიის მცხოვრები არმენაკ ვართანიანცი. 21 ოქტომბერს პოლიციამ დააპატიმრა ზაქარია მიგრიჯანაშვილი, რომელსაც დაჰბრალდა ელისაბედის ქუჩაზე ილია აისბერგის ბინიდან სხვა და სხვა ნივთების მოპარვა. მიგრიჯანაშვილი გამოტყდა დანაშაულში და განაცხადა, რომ ერთი ნაწილი მოპარულ ნივთებისა მივჰყიდე პოლიციის მე-6 ნაწილში ალი-ყული-აბდულა-ოღლის, ხოლო მეორე ნაწილი-ვიღაც სომეხს მინასოვსაო მინასოვი ვერა ნახეს, ხოლო აბდულ-ოღლის ჩამოართვეს ნაყიდი მოპარული ნივთები და პატრონს დაუბრუნეს.

◆ 22 ოქტომბერს პოლიციამ დააპატიმრა ავჭალის ქუჩაზე ადმინისტრატიულად გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული არტემ სარქისოვი.

—

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ წერილში „ვინ მტრობს დედაენას", შეპარულა კორექტურული შეცდომა. (იხ. გვ. 3, სვეტი მე-5, სტრიქ. 18). დაბეჭდილია: „ერთის ადგილობრივი ახალ ტიპის საშუალო სასწავლებლის დაარსების დროს". უნდა იყოს: „ზოგიერთის ადგილობრივი ახალი ტიპის საშუალო სასწავლებლის დაარსების დროს". მეორე ადგილას (სტრ. 76) დაბეჭდილია: „და ქართული ენისა და ლიტერატურის მთელის მასალის ღრმა შესწავლა". უნდა იყოს: „და არა ქართულ ენისა და ლიტერატურის მთელის მასალის ღრმად შესწავლა".

## სამშობლოს გარეშე

(წერილი პეტერბურგიდან)

სტუდენტობის ცხოვრება ამ უკანასკნელ წლებში საერთოდ უფერულია. მაგრამ ქართველი სტუდენტობა რაღაც განსაკუთრებულ სიბნელით, ბურუსით არის მოცული. ხანდახან ბურუსი, ღრუბლები ჰქუხილის წინამორბედია და ამ შემთხვევაში სიმართლის მეტი არა დაგვრჩენია რა, მაგრამ, საუბედუროდ მხოლოდ სიბნელეს, ვჭრეტთ და ეს „პირთა უფრო ძნელია". დიდს აღმართს, მართალია, დიდი დაღმართი მოსდევს, მაგრამ დაღმართი, რომელიც უფსკრულში იკარგება, იგივე უსაზღვრებაა და საშინელება. არსად სჩანს ის სიცხოველე გრძნობისა, რომელიც სიცოცხლის ნიშანია: არსად სჩანს აზრთა შეხლა-შემოხლა, რომელიც ცხოვრებისადმი ინტერესის გამომწვევია. „არსაიდან ხმა, არსად ძახილი" და მხოლოდ ტკბილი, უშფოთველი ძილია გამეფებული. ყველგან დაღვრემილი, მაგრამ უაზრო სახე; ყოველ ნაბიჯზე ამპარტავნული, მაგრამ საბრალო პიროვნება. არსად სჩანს სიდინჯე ცოდნისაგან, შრომისაგან გამოწვეული, სიამაყე—დამსახურებული; წმინდა გრძნობა—სათნოებით გაბრწყინვებული. ვერავის ვხედავთ ისეთს, გარდა ორიოდე პირისა, რომელსაც ამდენი გზა გამოუვლია იმისათვის, რომ შეიძინოს ცოდნა—რაც ისევეა ჩვენთვის საჭირო, როგორც წყალი თევზისათვის, ჰაერი სულდგმულთათვის, მზის ცხოველმყოფელი სხივები მთელ სოფლიოსათვის. ფუქსავატობა, წვრილმანობა, ინტრიგები, ჭორი, შური—აი, რასა აქვს გასავალი ჩვენს ახალგაზდობაში და აი რითი არის დაჯილდოებული ჩვენი მომავალ თაობის საუკეთესო, საიმედო ნაწილი.

არც სამეცნიერო წრესა აქვს დიდი მნიშვნელობა. მხოლოდ ერთხელ გაიხმაურა და შემდეგ მსოფლიოს განუზომელ სივრცეში ჩაინთქა. ახლოვდება 27 ოქტომბერი, დღე დიდ მნიშვნელოვანი ჩვენთვის, მაგრამ სტუდენტობა არც-კი ფიქრობს რითიმე აღნიშნოს. არც იმ გარემოებამ მოახდინა მათზე არავითარი გავლენა, რომ ამ მოკლე ხანებში რუსეთის საუკეთესო ნაწილი აპირებს ჩერნიშევსკის სახელის პატივისცემას. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი შემთხვევა მაინც გააღვიძებდა მათში თავიანთ ქვეყნის, თავის ერის შვილისადმი დამსახურებულ ყურადღებას, აუცილებელ სიყვარულს, მაგრამ, საუბედუროდ, ისე ძლიერ მოიცვა მცონარეობამ ჩვენი სტუდენტობა, რომ ყოველგვარ ინიციატივის სახსარი მოსპობილი აქვს და თითქოს საჭიროებასაც ვერა ჰხედავს. და ადამიანს გული უკვნესის ასეთ გულ-გრილობის შემყურეს. არავის არ ახსოვს თითქმის, რომ ეგ დღე (27 ოქტომბერი) ჩვენთვის ისტორიული დღეა. არავის არ ახსოვს, რომ ეგ დღე ჩვენი სიამაყის საგანია, რადგან ილიამ პირველად მაშინ ახილა თვალი, რადგან ამ დღეს დასტოვა მან მყუდრო ბინა და გრიგალიან, მრისხანე ბუნებას მედგრად მებრძოლად გამოეცხადა. თერგის „რბენა" თერგის ღრიალი მისი სფერა გახდა და თვისი სული და გული, გრძნობა, გონება ამ სტიქიონს შეუერთა, შეუქსოვა, შეუხლართა...

დიაღ, მყუდროებ, და ძილია გამეფებული. მაგრამ ეჰ, „ოხვრა არის შვება უბედურისა"-ო, ტყუილა არ უთქვამს ჩვენს მგოსანს.

**შოთა დ—იანი.**

## მახლობელი და აუცილებელი საჭიროებანი ქართულ მუსიკისა

1.

ყველას, ვინც კი რომელიმე ხელოვნების ასპარეზზე გამოსულა სამოღვაწეოდ, თუ იგი ბუნებას უხვად დაუჯილდოვებია ნიჭით, თუნდ იმდენადაც არა, რომ შექმნას ახალი მიმართულება არჩეულ დარგში, ასე თუ ისე შეაქვს თავისი წვლილი ამ დარგში ანვითარებს მას და აყენებს საღსა და გონივრულ გზაზე. ის საძირკველი, რომელზედაც უნდა აშენდეს დიადი შენობა ხელოვნებისა, ჩადგმულია ჰარმონიულად, მუშაობის შეთანხმებით ყველას მიუტანია აქ თავისი წვლილი და ჩაუგდია ამ დიად ისტორიულ საძირკვლის ასაშენებლად. ამისთანა მუშაობის დროს ყველა შემდეგმა იცის, თუ რა შეუქმნია იმის წინა მორბედს, რა, ანუ რა ნაირ ქვაკუთხედად გარდაქცეულა მისი მოღვაწეობის შედეგი ამა თუ იმ ხელოვნებაში. ყოველ ჟამსა და დროს წარსულთა შემოქმედებაზე ეყრდნობა და არის დამყარებული მომავალთა მოღვაწეობაც.

კერძოდ არც ფეხ-ადგმულ ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაზე და მის წარმომადგენელთა მოღვაწეობაზედ, რომ გადავიდეთ, მათ ერთი რამ უნდა ახსოვდეთ და მითი ხელმძღვანელობდნენ. მათი მიზანი უნდა იყოს ცხოვრებაში, შეძლებისა და გვარად, გაატარონ იდეა მჭიდრო კავშირის საჭიროებისა მუსიკალურ ხელოვნებასა და ცხოვრება—მეცნიერების შორის. ეს მეტად საყურადღებოა იმიტომაც, რომ მეცნიერებამ თავის ავტორიტეტულ სიტყვით სწორე შეხედულება წარმოსთქვას ამ ხელოვნებასა და მის მიზანზე, დაამყაროს საფუძვლიან ნიადაგზე მეცნიერების მიერ ცნობილი დოგმები და მით მოსპოს ერთხელ და სამუდამოდ ორჭოფული მსჯელობა—შეხედულება ხელოვნებაზე.

ქართული მუსიკა საჭიროებს მეცნიერების დახმარებას უმთავრესად თავის საკუთარ მეცნიერების შესაქმნელად—შესაქმნელად მუსიკალურ ესტეტიკისა, რომლის მიზანიცაა გამოიკვლიოს მიზეზები და კანონები მუსიკალურ გამოხატულებათა და მოვლენათ [illegible] ადამიანს და [illegible] ქართულ მუსიკის [illegible] თვისების აღსანიშნავად—რომ ქართულ მუსიკას შეუძლიან წინედ განზრახული და არა შემთხვევითი გამოხატულება, რომ აღვნიშნოთ რა საშუალებანი აქვს ამისთვის საზოგადოთ მუსიკალურ ხელოვნებას, გრძნობათა, იდეათა და წარმოდგენათა რომელ დარგის გადმოცემა დაუსახავს მას მიზნად და, ამის და მიხედვით, კაცობრიობის კულტურულ საჭიროებათ რამდენად აკმაყოფილებს იგი.

ამას გარდა არა ნაკლებ საყურადღებოა საკითხი—გამოკვლეულ იქმნას როლი, მნიშვნელობა და დანიშნულება ამ ხელოვნებისა ქართველ ერის კულტურულ ცხოვრებაში და აღნიშნულ იქმნას, რომ იგი საყურადღებოა როგორც ნაზი, მსუბუქი რამ დამხატველი კაცობრიობის განცდათა იდუმალ მხარეებისა, როგორათაც რამ საუცხოვო დარგი,—გამომხატველი ცხოვრების გრძნობიერების სახეთა მრავალ-ფეროვანებისა.

ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ თანამედროვე ინტელიგენტი მხოლოდ მაშინ თანაუგრძნობს და ყურადღების ღირსად სცნობს რომელსამე საქმეს ან საგანს, როდესაც იგი დარწმუნდება, ან დაუმტკიცებენ ამ საქმის, ან საგნის რიგიანობას ანუ სარგებლობას. რაც შეეხება მუსიკას, თანამედროვე კაცობრიობის თითქმის ნახევარი ისე უცქერის მას, როგორც უსაგნოსა და უმნიშვნელო ხელოვნებას, რომელიც მხოლოდ ერთი ერთმანეთს ხმებს უთანხმებს, რომელიც მხოლოდ „მოდაა"—თავშესაფარი და მანუგეშებელი ფუქსავატ ხალხისა, რომელსაც ხელს უწყობენ მხოლოდ არტისტიული მიდრეკილებანი, როგორც უაზროსა და უქმ ხელობას, როგორც გასართობსა და უსაქმოთა სასაუბრო საგანს. ამიტომაც არის ხოლმე, რომ ბევრს, რომელთაც არა აქვთ ნდობა და ბუნებრივი მიდრეკილება ამ ხელოვნების სუქიერ მხარეთა გამოხატულებას ჩაუკვირდნენ, ებადება მძულვარე დამოკიდებულება ამ ხელოვნების წარმომადგენლებთან და ნაწარმოებთანაც-კი, აგრეთვე ზეზეური, მიდგომილი მსჯელობა მაზე ხშირად სპეციალისტთა შორისაც-კი.

ამნაირად შექმნა მეცნიერულად დასაბუთებულ მუსიკალურ ისტორიისა და ესტეტიკისა,—აი ნამდვილი **მახლობელი და აუცილებელი საჭიროებანი** ჯერედ კიდევ ნორჩი ქართულ მუსიკალურ ხელოვნებისა, აი რით შეუძლიან მეცნიერებას—მის ემპირიულ გამოკვლევის მეთოდებით—ნამდვილი დახმარება გაუწიოს მუსიკას და აი რა უნდა იყოს ქართულ მუსიკის წარმომადგენელთა მოღვაწეობის მიზანიც!

**ი. კარგარეთელი.**

## მოწერილი ამბები

**ახალციხე.** თუმცა ჩვენს დაქვეითებულს, 20 ათას მცხოვრებიან ქალაქში ამ ბოლო დროს სწავლის სურვილმა გაიღვიძა, მაგრამ უპატრონობით ეს სურვილი განუხორციელებელი რჩება. უსწავლელობის მიზეზია, რომ ყველა გვბატონობს და გვატყუებს. ჩარჩებმა ხომ ჯვარს გვაცვეს. საჭიროა ასე თუ ისე თავიდან მოვიშოროთ სულთა-მხუთავი ჩარჩ-ბაყალები. არც ისე ძნელია, თუ კი მოვინდომებთ. საჭიროა მხოლოდ შეერთებულის ძალით ვიმოქმედოთ და შევქმნათ კოოპერატიული დაწესებულებანი.

ჩვენში მრავლად არის წითელი და გემრიელი ვაშლი, კარგი ჯიშის კარტოფილი და სხვა. აქაურ მსხალ-ვაშლით ხილით ხომ მთელი ბათომი და ქუთაისი ივსება, აი, სწორედ ამ ნაწარმოებთ ესაჭიროება პატრონობა და რიგიანი ბაზრის მოპოვება.

შარშან ამ საგანზე უკვე გვქონდა თათბირი და კრებაც გვმართეთ ადგილ. ქართველობამ მაზრის უფროსის ბ-ნ სტრიევის თავმჯდომარეობით. ერთხმად გადასწყდა, დაარსებულიყო ახალციხეში საგაზრო სამეურნეო კომერციული ამხანაგობა („მესხეთი") პაიებზე (თითო

---

ბატონი ადგა, სამჯერ პირჯვარი გადიწერა, მერე სკამის ქვეშიდან კატა გამოათრია და ჩემოდანში ჩასვა.

— ძალო, მოდი!—სთქვა მან ნელა.

ძალოა, რომელსაც არა გაეგებოდა რა, ბატონის ხელებთან მივიდა. ბატონმა თავზე აკოცა და კატასთან ჩასვა. ამას სიბნელე მოჰყვა... ძალოა კატასა სთელავდა, ჩემოდნის კედლებს აფხაჭუნებდა და შიშით ხმას ვერ იღებდა. ჩემოდანი კი, თითქოს ტალღებ ზემო, ქანაობდა და კანკალებდა.

— აი, მეც აქა ვარ!—ხმა მაღლა დაიყვირა ბატონმა.

ძალოამ იგრძნო, რომ ამ ყვირილთან ერთად ჩემოდანი რაღაც მაგარს მოხვდა და გაჩერდა. გაისმა მაღალივე ღრიანცელი. ვიღაცას ლოყებში უტკაცუნებდნენ და ეს ვიღაცა,—უეჭველია, ის სახე რომელსაც ცხვირის ნაცვლად კუდი აქვს,—ღრიალებდა. ისე ძალიან იცინოდა, რომ ჩემოდნის კედლები აზნზარებდა. ამ ღრიანცელის პასუხად ბატონის ისეთი სიცილი გაისმა, როგორიც წაბლას სხვა დროს არ გაუგონია.

— ვაა!—დაიყვირა ბატონმა და თან სცდილობდა, თავის ყვირილით ამ ღრიანცელისათვის გადაეჭარბებინა:—პატივცემულო საზოგადოებავ! ეს არის ეხლა სადგურიდან ჩამოვედით. დღეს ჩემი ჩაძაღლდა და სამეკვიდრო დამიტოვა. ჩემოდანში რაღაცა მძიმეა, უეჭველია, ოქროები იქნება... ერთიც ვნახოთ აქ მილიონებია. ამ საათში გავაღებ და ვნახოთ...

ჩემოდანში გასაღებმა დაიჩხაკუნა. ძლიერი შუქი ძალოას თვალებში ეცა. იგი ჩემოდნიდან ამოხტა და, ღრიანცელით დაყრუებულმა, თავის ბატონის გარშემო ყეფით დაიწყო რბენა.

— ვაა!—დაიყვირა ბატონმა.—ბიძა-ჩემო! ძვირფასო ძალო! საამურო ნათესავნო! ეშმაკმა კი წაგიღოთ!

იგი ქვიშაზე მუცლით დაეცა და კატასა და ძაღლს ხვევნა დაუწყო. ვიდრე ბატონი მათ ასე ეხვეოდა, წაბლამ თვალის ერთი დაკვრით იმ ქვეყანას შეხედა, რომელშიაც იგი ბედმა შემოაგდო. მისი დიდებულებით განცვიფრებული ძალოა ერთ ადგილას სიხარულით გაშეშდა, მერე ბატონს ხელიდან გაუსხლტა და, შთაბეჭდილებათა სიმრავლით გაბრუებული, ერთს ადგილას ბზრიალასავით დატრიალდა. ახალი ქვეყანა შუქით სავსე და დიდი იყო. საითაც უნდა მიეხედნა, იატაკიდან დაწყებული ჭერამდის ყველგან მარტო სახეები მოსჩანდა, სახეები და სხვა არაფერი.

— გთხოვთ დაბრძანდეთ!—დაიყვირა ბატონმა.

რაკი ძალოას ამისი მნიშვნელობა ახსოვდა, სკამზე ახტა და დაჯდა. მან ბატონს შეხედა. ბატონის თვალები ჩვეულებრივ სერიოზულად და ალერსიანად იცქირებოდა, მაგრამ სახე, მეტადრე პირი და კბილები განიერ, გაუნძრეველ ღიმილით დამახინჯებულიყვნენ. ბატონი ხარხარებდა, ხტოდა, მხრებს ათამაშებდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს ამ ათას კაცის წინაშე ძალიან მხიარულად არისო.

— თქვენ, ძალოვ, ცოტა ხანი დაბრძანდით,—სთქვა ბატონმა:—მე და ბიძა კი ვიცეკვებთ.

კატა უცდიდა, თუ როდის დააწყებინებდნენ მას სისულელების კეთებას, იდგა და ირგვლივ გულ-გრილად იცქირებოდა. იგი მოწყენილად, უგულოდ და გაბუტილივით ცეკვავდა, და იმის მოძრაობას, კუდს და ულვაშებს ეტყობოდა, რომ ეს ბრბოც, ძლიერი შუქიც, ბატონიც და თავისი თავიც ძლიერ ეზიზღებოდა. როცა თავისი წილი იცეკვა, დაამთქნარა და დაჯდა.

— აბა, ძალოა, ჯერ ვიმღეროთ და მერე ვიცეკვოთ. კარგი?—სთქვა ბატონმა, ჯიბიდან სალამური ამოიღო და დაუკრა. ძალოა, რომელსაც მუსიკა ეჯავრებოდა, სკამზე მოუსვენრად დატრიალდა და წკავ-წკავი დაიწყო. ყოველ მხრიდან ღრიანცელი და ტაშის კვრა გაისმა. ბატონმა ხალხს თავი დაუკრა და როდესაც ყველაფერი მისწყდა, დაკვრა ისევ განმეორდა. სწორედ იმ დროს, როცა ერთ ძალიან მაღალ ნოტაა სწევდნენ, სადღაც, ზემოდ, საზოგადოების შუაში ვიღაც ბავშვმა ხმა მაღლა შეჰყვირა:

— მამილო! ეს ხომ წაბლაა?!

— წაბლაა!—დაემოწმა მთვრალი, მთრთოლვარე ხმა:—წაბლაა! ფედია, ღმერთმა შემაჩვენოს, თუ ეს წაბლა არ იყოს!

ქანდარაზე ვიღაცამ დაუსტვინა და ორმა ხმამ, ერთმა ბავშვისამ და მეორემ დიდისამ, ძალიან დაიყვირა.

— წაბლა, წაბლა!

ძალოა შეხტა და იქით მიიხედა, საიდანაც ეძახდნენ. ორი სახე—ერთი ბეწვებიანი, მთვრალი და მომღიმარი, მეორე—მსუქანი, წითელ-ლოყა და შეშინებული—თვალებში ისე ეცა, როგორც წელან ძლიერი შუქი. წაბლას ეს სახეები მოაგონდა. სკამიდან გადმოხტა და ქვიშაზე ფართხალი დაიწყო. მერე წამოხტა და მხიარულის წკავ-წკავით იმ ორის სახისაკენ გაექანა. ამ დროს დამაყრუებელი ღრიანცელი გაისმა. იგი სტვენით და ბავშვის წკრიალა ძახილით იყო სავსე:

— წაბლა, წაბლა!

ძალოა მოაჯირს გადაახტა, მერე ვიღაცის მხარს და ლოჟაში გაჩნდა. ზედა სართულში რომ ასულიყო, მაღალ კედელზე უნდა გადამხტარიყო. ძალოა შეხტა, მაგრამ ვერ მისწვდა და უკან დაგორდა. მერე ვიღაცებს ხელში ჩაუვარდა, ვიღაცების ხელებსა და სახეებს ჰლოკდა, ზემოდ მიიწევდა და ბოლოს ქანდარაზე გაჩნდა...

ნახევარი საათის შემდეგ წაბლა უკვე ქუჩაში მიდიოდა და იმ ხალხს მისდევდა, რომელთაც წებოს და ლაქის სუნი ასდიოდათ. დურგალი ლუკა ქანაობდა და გამოცდილებით ჭკუა ნასწავლი, სცდილობდა არხების მოშორებით ევლო. იმის გვერდით ფედია მიდიოდა. მამის კარტუზი ეხურა, წაბლა ორივეს უკანიდან შესცქეროდა და ისე ეჩვენებოდა, თითქოს დიდი ხანია რაც მათ უკან მისდევს, და უხაროდა, რომ მისი ცხოვრება ერთი წუთითაც არ შეცვლილა.

მოაგონდა ჭუჭყიანი ოთახი, ბატი, კატა, გემრიელი სადილები, ცირკი, სწავლა, მაგრამ ყველა ეს ეხლა ერთ გრძელ და არეულ სიზმრად ჰქონდა წარმოდგენილი.

**ი. ტ.**

ზაი 10 მან.). ამხანაგობას უნდა გაეგრძელებინა ადგილობრივ გლეხებში ახალ სისტემის სამეურნეო იარაღი; ადგილ. ნაწარმოების, მეტადრე ვაშლისთვის ბაზარი მოეძოვებინა როსტოვსა და ოდესაში; გაეხსნა საწყობი სავაჭრო მაღაზიები ახალციხესა და სხვაგან. კრებამ მაშინვე აირჩია წესდების შესამუშავებლად 5—6 კაცი. კომისია მხნედ შეუდგა საქმეს და ორ კვირის განმავლობაში შეიმუშავა წესდება, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე შეჩერდა. (შეჩერების მიზეზი, მგონია, სტროევის სხვაგან გადაყვანა იყო). წესდება ადარც-კი გაუცვნიათ საზოგადოებისათვის და საქმე მიერუდა. ტყუილად კი არა თქმულა „ჩქარს უგვიანდებოდესო"! ჯანი გავარდეს დაგვიანებას, ნეტავი სულ არ გაექრეს სიმპატიური სურვილი. იმედია, ინიციატორები ხელ-ახლა შეუდგებიან ამ საქმეს.

ქ. გვარამაძე.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** ხუთშაბათს, 22 ოქტომბერს, ქართულ თეატრში ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა შექსპირის კომედია „ქირვეული ცოლის მორჯულება" და გუნის ვოდევილი „ღღის ერთა"...

**სახალხო წარმოდგენა.** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველი სათეატრო სექცია მართავს სახალხო წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება მოლიერის კომედია „ტარტიუფი", ანუ „მუზმუზელა", თარგმანი ივ. მაჭავარიანისა. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სცენის მოყვარეთა მთელი დასი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**ავლაბრის თეატრი.** დღეს, 24 ოქტომბერს, ავლაბრის თეატრში ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ჰაუპტმანის კ. მესხის მიერ გადმოკეთებული ცნობილი 4 მოქმედებიანი კომედია „მელანიას ონიბი".

# სასამართლო

**წერილით ფულის მოთხოვნა.**

1909 წელსა 5 ივლისს, ყორღანოვის ქუჩაზე, „შვეიცარის" ნომრებში წერილით ხელში მისულა ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი, მიუმართავს ლაქიას კერვალიძისათვის და უთხოვნია კონვერტში დაბეჭდილ წერილის გადაცემა იქ მცხოვრებ შეშის საწყობის პატრონის ძაგუნია დოლიძისათვის; აგრეთვე უთქვამს, პასუხისათვის მოვალ ხვალ საღამოთიო. დოლიძეს წაუკითხავს თუ არა ეს წერილი რომლითაც მუქარით სთხოადნენ 1000 მან., მაშინვე დაუძახნია კერვალიძისათვის გადაუცია წერილის შინაარსი და უთხოვნია უცნობის დაჭერა, წინააღმდეგ შემთხვევაში დამუქრეეია—პასუხის გებაში მიგცემო. მეორე დღესაც მისულა ნომრებში ეს უცნობი და მოუკითხნია კარის კაცი იქ მდგომ ლაქიის გოგიტაძისათვის. გოგიტიძის პასუხზე, რომ მე ვასრულებ დღეს კარის კაცის მოვალეობასაო, უცნობს უპასუხნია, „ის მაღალია და გამხდარიაო". გოგიტიძე მიმხვდარა უცნობი რად კითხულობდა კერვალიძეს. კერვალიძე ამ დროს იქ არა ყოფილა. როდესაც გააუგია ეს ამბავი, მოულაპარაკნიათ უცნობის დაჭერაზე.

8 ივლის გოგიტიძეს კიდევ უნახავს უცნობი „მოსკოვის ნომრებთან". მაშინვე გაქანებულა დოლიძის შეშის საწყობში და უცნობებია დოლიძის ნათესავის ი. ცინცაძისთვის. ცინცაძეს და გოგიტიძეს წაუყვანიათ ეს ყმაწვილი კალანდაძის სტამბის კანტორაში, ვითომ წერილის შესახებ მოსალაპარაკებლად, შემდეგ კი დოლიძის საწყობში გადაუყვანიათ. იქ კარგა ხანს ჰყოლიათ. უცნობს თავისი თავი დაუსახელებია ისიდორე ხინტკირიათ და უთქვამს, წერილის მომტანი მე ვარ და ჩაიდინე ეს საქმე ამხანაგების მონდობილებითაო. მთელი ღამე საწყობში გაუტარებინებიათ, ხოლო დილით ადრე გადაუციათ პოლიციისათვის. პოლიციაში მას უარი უთქვამს წერილის მიტანაზე და დოლიძესთან გამოტეხა ძალდატანებით აუხსნია.

წერილი ამ შინაარსისა ყოფილა: „ამ წერილის მომტანს ჩვენს ამხანაგს გადაეცი 1000 მან. და თუ ამის შესახებ გამოგიცხადებია პოლიციისათვის ან დაგიჭერინებია მაშინ შურს ვიძიებთ და ცოცხალს არ დაგარჩენთ"-ო. აზის ბეჭედი „ტერორისტთა კავშირისა".

ეს საქმე ოლქის სასამართლომ განიხილა გუშინ, 23 ოქტომბერს. მოწმებმა გაიმეორეს ის, რაც წინასწარ გამოძიების დროს ეთქვათ. დამცველმა ნაფიცმა ვექილმა კატანიანცმა მოითხოვა ბრალდებულის გამართლება.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ხინკის მაზრის, სოფ. ონტოპოს მცხოვრები აზ. ისიდორე ხინტკირია და მიუსაჯა სამის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

—

**მოწამვლის განზრახვა.**

ამავე დღეს ტფ. ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ბორჩალოს მაზრის, სოფ. სარაჩლოს მცხოვრების მაჰმედ ალი ოღლისა, 1908 წელს 26 დეკემბერს სოფ. სარაჩლოში ქორწილი ჰქონია მამედ ჰიბრაგიმ-ოღლის. სხვა სტუმართა შორის ყოფილან მისი მეზობლები ისრაფილ-ნაბი ოღლი და მამედ ალი-ოღლი. უკანასკნელს გამოუხმია ისრაფილ ნაბი-ოღლი, გამოუღია იღლიდან ერთი ქადა, გაუტეხნია შუაზე. ნახევარი თვითონ შეუჭამია და ნახევარიც მიუცია ისრაფილისთვის. უკანასკნელს, რომ შეუჭამია ტკბილი ქადა, კიდევ მოუთხოვნია. მასაც გადაუცია მთელი და უთქვამს: „ეს შეჭამე საკუთრივაო" ისრაფილს რომ დაუწყვია ჭამა, მაშინვე ავარდნია გულის რევა და გული შესწუხებია, რის შემდეგაც გამორკვეულა, რომ ქადა მოწამლული ყოფილა.

სასამართლომ გამოარკვია, რომ ეს ქადა ბრალდებულისათვის გადაუცია ისრაფილისათვის გადასაცემად მაჰმედ ნაბი ოღლის, რომელსაც უნდოდა თურმე შური ეძია.

სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო ბრალდებული მაჰმედ ალი ოღლი და გაამართლა.

ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი ი. ფაღავა.

# უცხოეთი

**მუშების მონაწილეობა მოგებაში.**

საფრანგეთის საზოგადო საქმეთა მინისტრმა მილიერანმა დეპუტატთა პალატაში საინტერესო განცხადება წარადგინა სახელმწიფოს კუთვნილ მადნების კერძო პირების მიერ წარმოებაზე. სახელმწიფოს მთა-მადნები აქვს რამდენიმე ადგილას და ამ ჟამად მერტისა და მოზელის მადნების ალება მოისურვა კაპიტალისტების ერთმა ჯგუფმა. მთავრობა ამ ორი წლის წინადაც ფიქრობდა განსაკუთრებული წესდება შეემუშავებინა მადნების იჯარით გაცემაზე. მილიერანის წინა მოადგილემ ბარტუმ ორი კანონ-პროექტი შეიმუშავა სახელმწიფო მადნების იჯარით გაცემაზე. კანონ-პროექტით მთავრობა თხოულობდა, რომ მოიჯარადრეებს მუშების მდგომარეობისათვის მიექციათ ყურადღება, გაეუმჯობესებინათ იმათი ბინები და სხვა. ეს კანონ-პროექტები მინისტრთა საბჭომ განიხილა, მოიწონა კიდეც და დეპუტატთა პალატას წარუდგინა. ამ სესიაში პალატა ვერ მოასწრებს კანონ-პროექტების განხილვას. მილიერანმა კი განაცხადა, რომ ეხლავე ბიუჯეტის განხილვასთან ერთად უნდა განხილულ იქმნას ერთი მუხლი, რომლის ძალითაც მადნების მწარმოებლებმა მოიჯარადრეებმა მთავრობას პირობაში უნდა ჩაუწერონ, რომ მუშებიც მონაწილეობას მიიღებენ მოგებაში, რომ მუშებსაც შეეძლოთ მწარმოებელთა აქციების მფლობელნი იყვნენ. ამ მუხლით განსაზღვრული იქნება, თუ საერთო მოგებაში რა ნაწილი უნდა ჰქონდეს მუშებს. თუ ამ მუხლს მიიღებს დეპუტატთა პალატა, მხოლოდ მაშინ გადასწყვეტს მთავრობა, მისცენ იჯარით მერტისა და მოზელის მადნები თუ არა.

**სამხედრო აჯანყება საბერძნეთში.**

16 ოქტომბრის ბრძოლის შესახებ რუსეთის გაზეთებს ატყობინებენ ათინიდან, რომ თითქმის 60 ჯერ გაისროლეს ზარბაზანიო. ნაღმოსან გემზე „სტეიტონზე" მოჰკლეს ხუთი კაცი მაშინის განყოფილებაში. თითონ გემიც ძალიან დაზიანდა. მთავრობის ჯავშნიან გემ „გიდრა"-ზე ორი მატროსი მოჰკლეს. ერთი ყუმბარა საავადმყოფოს მოხვდა და მოჰკლა ორი ავადმყოფი და ერთიც დასჭრა. მეამბოხე ტიპალდოსი თავის ამხანაგებით ნაღმიან გემ „ველოსით" გაიპარნენ და არავინ იცის სად იმყოფებიან. ბრძოლის დროს ინგლისის გემის უფროსმა, თანახმად საერთაშორისო უფლების წესდებისა, წინადადება მისცა საბერძნეთის მთავრობას, დაგეხმარები მეამბოხეთა დასაწყნარებლადაო.

**სახელმწიფოთა ჩარევა.**

გაზეთები არეულ ცნობებს გვაწვდიან, ზოგიერთი გაზეთის ცნობით სახელმწიფოები არ აპირობენ საბერძნეთის შინაურ საქმეებში ჩარევას. ავსტრიის გავლენიანი გაზეთები კი სულ წინააღმდეგს იტყობინებიან. ამათი ცნობით, იმ სახელმწიფოთა დიპლომატიურ წრეებში, რომლებიც კრიტის საკითხით არიან დაინტერესებულნი, ამ ჟამად მოლაპარაკება სწარმოებს საბერძნეთის შინაურ საქმეებში ჩარევის შესახებ. სახელმწიფოები ჩაერევიან საბერძნეთის საქმეებში მხოლოდ მაშინ, თუ ეხლანდელი აფიცერთა მოძრაობა უფრო გამწვავდება. თუ აჯანყება განმეორდა, სახელმწიფოები თავიანთ ჯარს გადასხამენ საბერძნეთის ტერიტორიაზე. ეს წინადადება თურმე რუსეთს ეკუთვნის. დიპლომატიურ წრეებში მეორე წინადადებაც არის. ამ წინადადების ავტორები საჭიროდ სცნობენ საზღვაო დემონსტრაციის მოხდენას.

**აჯანყებულნი და კრიტის საკითხი.**

ზოგიერთ გაზეთების ცნობით, აჯანყებულ ნაღმოსნებს განზრახვა ჰქონიათ კუნძული კრიტი დაეჭირათ. საბერძნეთის პეტერბურგის საელჩომ უარჰყო ეს ხმები. საბერძნეთის დღევანდელ ამბებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს საგარეო პოლიტიკასთანაო.

**ოსმალეთის სტუდენტები.**

ოსმალეთის მთავრობამ 66 სტუდენტი გაისტუმრა საზღვარ-გარედ. ამათ სახელმწიფო სტიპენდიები დაუნიშნეს. სტუდენტები უმთავრესად პარიზის სხვა და სხვა უმაღლესს სასწავლებლებში მოისმენენ ლექციებს. მოკლე ხანში კიდევ გაგზავნიან სტუდენტებს. ამ წლის განმავლობაში განზრახვაა 300 ახალგაზდა ოსმალი გაგზავნონ საფრანგეთის დედა ქალაქ პარიზში. სტუდენტებს სამშობლოდან წაჰყვა ოსმალეთის სახალხო განათლების მინისტრი.

**როგორა სჯიდა აბდულ-ჰამიდი თავის მოწინააღმდეგეებს.**

ამ ბოლო დროს ყოფილმა სულთანმა აბდულ ჰამიდმა ბევრი რამ გამოამჟღავნა თავის სახელოვან საქციელიდან. აბდულ ჰამიდი რაღაც მიზეზისა გამო გაურისხდა ერთ თავის ხელქვეითს ბუხამარუს, რომელიც სჯიდა ხოლმე სულთანის მტრებს და მოსთხოვა ანგარიში, თუ როგორა სჯიდა ხოლმე ბუხამარუ ტყვეებს.

ბუხამარუ წაუსვამდა თავის მსხვერპლთ ზურგზე ერთგვარ საპონს, მერე დააყენებდა და ღონიერ ბიჭებს აცემინებდა მათრახებით, სან მდის ხორცს არ ამაგლეჯინებდენ ზურგიდან. შემდეგ ამ ხორცებს ნაცემ ნაცემთა თვალწინ შესწვამდნენ და ძალათი შეაჭმევდნენ ხოლმე ისევ იმათ, ვისაც ეს ხორცები ამოჰგლიჯეს.

აბდულ-ჰამიდიც კი შეძრწუნდა ამ ამბით, განრისხებულმა სულთანმა უბრძანა ბუხამარუ გადაეგდოთ ფანჯრიდან და დამშეულ ლომებისათვის მიეგდოთ შესაჭმელად. დამშეულმა ლომმა მარცხენა ხელი მოაგლიჯა ბუხამარუს. აბდულ-ჰამიდმა გულის სიმშვიდე გამოიჩინა, უბრძანა მხლებელთ, წადით, დაჰკალით ბუხამარუო. მხლებლებმა ლომს ცოცხალი ცხვარი მიუგდეს, ბუხამარუ კი დაჰკლეს.

**გერმანიის აგიტაცია საბერძნეთის მეფის წინააღმდეგ.**

საბერძნეთის გაზეთები სასტიკად ჰკიცხავენ გერმანიის დიპლომატიას, აგიტაციას ეწევა სამხედრო კავშირის წევრებში საბერძნეთის მეფე გიორგის წინააღმდეგაო. გერმანიის დიპლომატებს მემკვიდრე ქრისტეფორეს ტახტზე აყვანა სურთ. ქრისტეფორე თუ ავიდა ტახტზე, რეგენტი იქნება საჭირო და გერმანიასაც იმედი აქვს ამ რეგენტზე გავლენას იქონიებს.

# რუსეთი

**✦ კანონ-პროექტი.** „კასპი"-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ხმა დადის, რომ სახელმწიფო საბჭო დაამტკიცებს ყველა იმ კანონ-პროექტებს, რომლებიც სახელმწიფო სათათბირომ მიიღოო.

**✦ შეკითხვა.** „რეჩი"-ს სიტყვით, ამ მოკლე ხანში ოპოზიცია სახელმწიფო სათათბიროში შეკითხვა შეიტანს, საერო განათლების მინისტრი უკანონოდ იქცევაო.

**✦ მემარჯვენეებ.ს დადგენილება.** 17 ოქტომბერს სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენეების ფრაქციას სხდომა ჰქონია. ფრაქციას დაუდგენია შეადგინოს სია იმ პირთა, რომლებიც რევოლიუციონერებმა რევოლიუციის დროს დახოცესო.

**✦ საშუალო სასწავლებლების რევიზია.** საერო განათლების მინისტრს ყველ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველებისთვის მიუწერია, რევიზია გაუკეთეთ ყველა საშუალო სასწავლებლებს და არა უგვიანეს 1910 წლის პირველ იანვრისა ანგარიშები წარმომიდგინეთო.

**✦ კოკოვცევი იაპონიაში.** „ვეჩ." სიტყვით, ფინანსთა მინისტრი ხარბინიდან ტოკიოში წავა და დაესწრობა თავად იტოს დასაფლავებას.

**✦ დეპუტატის გაკიცხვა.** პერმის ეპარქიის სამღვდელოებას კრება ჰქონია. კრებას გადაუწყვეტია სასტიკად გაჰკიცხოს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი მღვდელი დეპოლატოვი, მემარცხენებს ემხრობაო. კრებას ასეთი დადგენილება ადგილობრივ ეპისკოპოსის წინადადებით გამოუტანია.

**✦ პეტერბურგის უნივერსიტეტში.** როგორც ვიცით, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ამ რამდენიმე ხნის წინედ კრება გამართეს და პროტესტი განაცხადეს ფერერის სიკვდილით დასჯის გამო. საერო განათლების მინისტრმა კრების გამმართველნი დისციპლინალურ სასამართლოში მისცა. დისციპლინალურ სასამართლოს უკვე განუხილავს ამ სტუდენტების საქმე და განაჩენიც გამოუტანია, კრების მომწყობ სტუდენტები კუზმინ-კარავაევი და რეზელი ნამდვილ სტუდენტთა სიიდან ამოურიცხიათ და თავისუფალ მსმენელებად ჩაურიცხიათ.

**✦ ნაშაჰარი ავად გამხდარა.** „ბაკუ"-ს ოდესიდან დეპეშით ატყობინებენ: სპარსეთის შაჰად ნამყოფი და მისი უფროსი საჭურისი ავად გახდნენ. ამბობენ ოდესსის მკაცრმა ჰავამ აწყინათო. ამის გამო შესაძლებელია, რომ მამედ-ალი ყირიმში გადასახლდესო.

**✦ ბურცევი.** ბურცევს საზღვარ-გარეთის გაზეთებში დაუბეჭდავს წერილი. ბურცევი თავის წერილში ეხება ოდესის გრადონაჩალნიკს ტოლმაჩევს და ცნობილ ანარქისტ-ექსპროპრიატორ ოსიპ ბლიცას (ფერაპონტა მიტრალიევზე). ბურცევის აზრით, ტოლმაჩევი დაახლოვებული ყოფილა ბლიცასთან. ამის შესახებ ცნობები და საბუთის ქაღალდები ბურცევს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებისთვის გადაუცია.

**✦ ფინლიანდიის სეიმი.** ფინლიანდიის სეიმი ამ დღეებში განიხილავს კანონ-პროექტს, რომლითაც ფინლიანდიაში მოსახლე ებრაელებს პოლიტიკური უფლებები ექნებათ.

**✦ ორიგინალური დახმარება.** „მოსკ. ვედ." რედაქტორს „ცნობილ" ლევ ტიხომიროვს მინისტრთა საბჭოსთვის უთხოვნია ყველა ის კანონ-პროექტები, რომლებსაც მთავრობა შეიმუშავებს, პირველად დასაბეჭდად მე მომეცითო. მეო, სწერს ტიხომიროვი, უფლება მაქვს იმედი ვიქონიო, რომ ჩემი თხოვნა დაკმაყოფილებული იქნება, რადგან მარტო ჩემი გაზეთი უდგას დარაჯად რუსეთის ინტერესებსა. თუ ჩემი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქმნა, ჩემ გაზეთს მკითხველები მოემატებიანო. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, მინისტრთა საბჭოს შეუწყნარებია ბ-ნ ტიხომიროვის შუამდგომლობა.

**✦ დუმბაძე.** ამ დღეებში იალტაში გენერალ-გუბერნატორ დუმბაძესთვის ერთ კერძო პირს უთხოვნია, ნება მომეცით რესტორანი გავხსნაო. დუმბაძეს უთქვამს: რესტორანის გახსნის უფლებას იმ შემთხვევაში მოგცემთ. თუ შემოსავლის ერთ მესამედს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" ადგილობრივ განყოფილებას შესწირავთო!!

**✦ ჩხრეკა და დაპატიმრება.** „კასპ"-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „გუშინ, 21 ოქტომბერს, დიდი ჩხრეკა იყო სხვათა შორის დააპატიმრეს ჩაიკოვსკი" ჩაიკოვსკი ამ რამდენიმე ხნის წინეთ ინგლისელების წყალობით შლისელბურგის ციხიდან თავდებით გამოუშვეს. ინგლისელებმა ხაზინაში 50,000 მანეთი შეიტანეს.

**✦ სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 1, პეტერბურგში 2, მოსკოვში 3, ოდესაში 1, რიგაში 1, რეველში 2, უფაში 2 კაცს. სიკვდილით დასაჯეს: რიგაში 1, სამარაში 3, პეტერბურგში 1, მოსკოვში 2 კაცი.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენ პატივცემულ გაზეთის საშუალებით საზოგადოებას შემდეგი ამბავი ვაუწყო: ამა წლის 29 სექტემბერს სოფელ კოშკებს (გორის მაზრა) სხვა და სხვა სოფლების გლეხების თანდსწრებით ეწვია ქარელის მამასახლისი დეკანოზიშვილი. მოსვლისთანავე დეკანოზიშვილმა სცემა გლეხებს იორდანე, სანდრო, პელაგია და ტატო თომაშვილებს. ტატო თომაშვილი ავადმყოფი და უძლური კაცია. გასაკვირველი ის არის, რომ მამასახლისს დეკანოზიშვილს თავის უფროსებისაგან არავითარი ქაღალდი არა ჰქონდა, რომ კოშკებში ამოსულიყო და უდანაშაულო ხალხი გაესამართლებინა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უფროსები უყურადღებოდ არ დასტოვებენ დეკანოზიშვილის თვითნებობას და საქმეს გამოიძიებენ. კიდევ არიან ისეთები, როგორიც ქარელის მამასახლისია, რომელნიც უკანონოდ იქცევიან და აწყავებენ ბნელ ხალხს —გლეხებს და თავიანთის მოქმედებით აღელვებენ უსწავლელ გლეხებს, კანონის უცოდინართ. მამასახლის დეკანოზიშვილისა და სხვა ამისთანა პირების მოვალეობაა მშვიდობიანობა დაამყარონ გლეხებში, ამის მაგიერ-კი. გლეხებს აღელვებენ. გლეხები კანონს ემორჩილებიან და იმედი აქვთ, რომ მთავრობა უზრუნველჰყოფს მამასახლისების და სხვების თვითნებობისგან.

**მათე ალექსის ძე თომაშვილი.**

—

ავლაბრის ქართულ უფასო წიგნთ-საცავსამკითხველოს გამგე გულითად მადლობას უძღვნის ყველა იმ პირთ, რომელთაც არ დაიშურეს და შესწირეს ზემოდ ხსენებულ სამკითხველოს.

სია: პეტრე მამრაძე—83 მ. 19 კ., ივანე კვეზერელი-კოპაძე—51 მ. 50 კ., აბრამ თუშიშვილი 20 მ., თითო თუმანი: ადამ ფორაქაშვილი, ივანე ივანოვი და მიხეილ გვანცაძე; ხუთ-ხუთი მანეთი: კნ. ნატალია ბარათაშვილი, მარიამ დემურია, სიმონ ფორაქაშვილი, გიორგი კვეზერელი-კოპაძე, დიმიტრი ჯიჯავაძე და ბესარიონ ჭავჭანიძე; ლუარსაბ ბოცვაძე—3 მან., ორ-ორი მანეთი; ვასილ პაატაშვილი, ნიკოლოზ ჭავჭანიძე, ივანე მაისურაძე და მაქრო ერედიშვილი; 1 მ, 50 კ., ივანე დურგლიშვილი, ილო ყანჩაველი; წიქარიძე—1 მ. 20 კ. თითო მანეთი: ვასილ პერძნიშვილი, მღ. ზაქარია გულისაშვილი, მიხაილ ვარსიმაშვილი, გიგო ხუციშვილი, ალავერდ იუხანოვი, დავით რუტლაშვილი და ნიკო ბატიაშვილი; სოკრატ სულთანოვი 60 კ., ათ-ათი შაური: გიორგი მიგრელიშვილი, ნიკო მეზვრიშვილი, სიმონ ჯავახოვი, შაქრო კაკეაშვილი, ათანასე ტორომჯაძე, ბესო სავანელი, ნოე დვალიშვილი, ვანო პერიანიძე, ანტონ კვანტალიანი, მიხაილ იანვაროვი—40 კ, გიორგი ჩიქოვანი—30 კ,, სანდრო დეხბოტი—20 კ.

დავით ჩუტლაშვილი—30 ცალი წიგნი, ეფროსინე წულუკიძე 10 წ., ვასო ხუციშვილი—8 წ., მეხნიძე—2 წ,, ვასო პაატაშვილი—9 წიგნი.


## იყიდება

**ორი ნაჭერი** მიწისა თავად-აზნაურთა გიმნაზიასთან, ვერაზე, ვაკეში: 1 ზომით 360 ოთხ-კუთხი საჟ 2. 436 ოთხ-კუთხი საჟ. ორივე კუთხას ადგილია. იკითხეთ გ. ყიფშიძესთან იქვე, საკუთ. სახ, დილით 10 ს. დე და საღამოთი 4—7 საათზე.

(2—518—1)

## 7 მან. და 25 კაპ. ორი კასტიუმი
**— ქალისა და კაცის —**

ორი ზამთრის ან გაზაფხულის საკასტიუმო ნაჭერი, კაცისა და ქალისა, ეგზავნება მსურველს ფოსტით 7 მან. 25 კაპეიკად. გაგზავნა უფასოდ (ციმბირში ემატება 85 კ.). ვისაც არ მოეწონება, ფაბრიკა უკან უბრუნებს ფულს. ნაჭერი კაცის კასტიუმისთვის 4¼ არშ. ინგლისური ტრიკო, მკვიდრივე მატყლისა, ორარშინიან განისა, ახალი ნახატით და 8 არშინიანი ტრიკო „არკადია" მატყლისა, მოდის—ქალის ტანისამოსისათვის. ორივე ნაჭერი ყოველ გვარ ფერისა. ფასდადებით გაგზავნის დროს ემატება 16 კ. (ფოსტ. ტაქსა) სურვილისამებრ იმავე ფასით შეიძლება გაიგზავნოს ორივე კასტიუმი კაცისა ან ქალისა. ადრესი Фабриканту М. Бернштейну, гор. Лодзь. И

(Л. Метцль и К° № 67969) (3—б—1)

## კერძო სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ :**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალი, სა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა-სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი :**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. ფ. მარცინკევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ.—1—201)

## იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები**, თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. სააგარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დააკლდება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლი ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.**

(50—б.—39)



ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ „Кайзеръ"

## ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას,

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით. ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერმოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი :** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—б—84)